



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „დინარა“

დინარა, „მთხრობა დინარაზე“, ძველი რუსული ლიტერატურული ძეგლი. ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით. ავტორი უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი მოსკოველ მწიგნობარ-დიპლომატთა წრიდან იყო.

მთხრობა დაწერილია XV ს. ბოლოს ან XVI ს. I ნახევარში (ძეგლის უძველესი რუს. ნუსხაა 1564–65). „დ.“ პირველი რუს. ძეგლია საქართვე. შესახებ. მოქმედება ხდება საქართველოში (ივერია). მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რა კონკრეტული მოვლენები და პერსონაჟები არიან წარმოდგენილი ძეგლში.

უმრავლესობის აზრით, დინარაში იგულისხმება თამარ მეფე. მთხრობის გმირი დინარა ტახტზე ადის მამის სიკვდილის შემდეგ. მამამისს „ძე არ ესვა“ (მსგავსად გიორგი III-ისა, რომაც თავისი ასული თამარი გაამეფა). ძეგლი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოსთხოვა სპარსთა მეფემ დინარას ხარკი და როგორ მიიღო მისგან ღირსეული პასუხი. ყოველივე ეს ძალიან ჰგავს თამარ მეფისა და სულთან რუქნადინის მიმონერას, რ-იც „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი.

რუსულ თხზულებაში აღწერილი სპარს.-საქართვე. ომი, დინარას გამარჯვება და სპარსეთიდან ნადავლის წამოღება მოგვაგონებს თამარის დროინდელ ამბებს. ძეგლში ვხვდებით ისეთ ეპიზოდებს, რ-ებიც საქართველოში არ მომხდარა და, როგორც ჩანს, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

„დ.“ პოპულარული იყო XVI–XVII სს. რუსეთში, რასაც მოწმობს მისი ნუსხების დიდი რაოდენობა, აგრეთვე მემატიანის ცნობა, რომლის თანახმად ივანე IV (მრისხანე) ყაზანის

აღების დროს, 1552, თავის ჯარს დინარას ბრძოლის მაგალითით ამხნევებდა. ამ ეპიზოდზეა ლაპარაკი ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ პირველი ვარიანტის (1859) ერთერთ თავშიც („იონანმა, რუსთ ხელმწიფემა, თვისი ლაშქარი, დასუსტებული" თამარ მეფის მიერ შამქორის ველზე მოპოვებული გამარჯვების მაგალითით „გაამამაცა“).

კუბლ: რუსი მწერლები საქართველოს შესახებ (შემდგ. ვ. შადური), თბ., 1949.

ლიტ: ბ უ ა ჩ ი ძ ე თ., ლიტერატურული წერილები, წგ. 2, თბ., 1970; რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; შ ა დ უ რ ი ვ., ერთი რუსული მოთხრობა საქართველოზე, «ლიტერატურული საქართველო», 1986, 21 მარტი; ც ი ნ ც ა ძ ე ი., რუსული თქმულების „დინარას" საკითხისათვის, «თსუ შრომები», 1939, ტ. 10.

**ვ. შადური**

---